პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 სექტემბერი პარასკევი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 208 (15118)

ხუთწლედი — ვადამდე!

ღირსეულად შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს!

შეჯიბრებამ ხელი უნდა შეუწყოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის — მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის ნამდვილად შემოქმედებითი სულისკვეთების შექმნის აუცილებელი პირობის გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲠᲘᲡᲮᲘ

ᲠᲐᲝᲚᲔᲜᲝᲒᲐᲪ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲗ

თბილისი. (საკ. კორ.). კომუნისტური შრომის საწარმოს № 1 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი გ. გვახარია) კოლექტივი ერთსულოვნად განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ ენთუზიაზმით შეხვდნენ ქარხნის მშრომელები. დადგენილებაში თვალსაჩინოდ არის დასახული ის გზები და ღონისძიებანი, რომლთა საშუალებითაც კიდევ უფრო სრულყოფილი, მიზანსწრაფული გახდება შეჯიბრების შესვლეობა.

წელს ქარხნის კოლექტივი კარგად შრომობს. წარმატებით სრულდება როგორც საწარმოო დავალებანი, ისე სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. განვლილ რვა თვეში გეგმის გადამეტებით გამომშვებულია 53 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რეალიზაციის დავალებას კი 39 ათასი მანეთით გადავაჭარბეთ. ამ მაჩვენებლებს მოპოვებაში სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი როლი შეასრულა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელშიც ყველა საამქრო, ბრიგადა და თვითეული მუშაა ჩაბმული. მუშები განსაკუთრებული ენთუზიაზმით ჩაებნენ ახალ შეჯიბრებაში — ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში. უკვე 45 მუშამ იკისრა ეს ვალდებულებანი. მათი რიგები დღითიდღე იზრდება. ამწყობ-შვინკალთა ის ბრიგადები, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. მაჩაბელი, მ. ბელენკო, ი. ვართანოვი ხელმძღვანელობენ, დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებენ. ბრიგადების ყველა წევრი მოწინავეა.

ჩვენი ქარხანა სოფლის შრომელთა შეფია. ყოველთვის ვადამდე ასრულებს დაკვეთებს, დროულად აწვდის სოფელს ღვინის ტექნოლოგიურ მოწყობილობას. წელს ამ ხაზით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შესრულდა. ბოლნისელ მშრომელებს 5.500 მანეთის სხვადასხვა მოწყობილობა გაეგზავნათ.

სოციალისტური შეჯიბრება ფრთებს შლის, ახლახან ქარხნის მოწინავე მუშებმა, ბრიგადებმა ვალდებულება იკისრეს 5 დღით ადრე უპატაკონ 10 თვის დავალების შესრულება. ეს მათი საჩუქარი იქნება სოფქომმრო დღესასწაულისათვის.

რ. მეცხოვრიშვილი,
თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ

ᲛᲥᲡᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

თბილისი. 156 ათასი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი გამოუშვა მიმდინარე წლის რვა თვეში აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ჯაკარდული აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა და 145 ათასი მანეთით გადაამტა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალებას.

მქსოველებმა ამ წარმატებას სხვა პროგრესული ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლითაც მიაღწიეს.

ფაბრიკაში ახლა არა მარტო ცალკეული მუშები, არამედ ბრიგადებიც გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. სამგალითოა № 13 ბრიგადა, რომელსაც ქვეოსტატი ე. შაიმშელაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადის კოლექტივმა განვლილ რვა თვეში გეგმის გადამეტებით 10.500 მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი გამოუშვა და დავალება 124 პროცენტით შესრულა. მოწინავე ბრიგადის შრომითს გამოცდილებას ფაბრიკაში ბევრი იზიარებს.

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲑᲠᲝᲚᲘ

ჟუთაისი. (საკ. კორ.). მინისტრთა ქარხნის კოლექტივი ახალ წარმატებებს აღწევს ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის საკონსერვო ქარხნებს განვლილ რვა თვეში გეგმის გადამეტებით გაეგზავნა 2 მილიონ 393 ათასი ცალი მინის ქილა, ხოლო მოსახლეობას — 15 ათასი მანეთის ბროლის ნაწარმი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე საადფოიაქო ჭურჭლისა და მუყაოს ყუთების გამოშვების დავალება.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც წლის დამდეგიდან ურეკლამაციოდ მუშაობს, დიდი გადაჭარბებით შეასრულა როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმები და 158 ათასი მანეთით გადაამეტა რეალიზაციის მოცულობის დავალება.

საწარმოს მშრომელები ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და გზრდილი ვალდებულებანი იკისრეს საოქტომბრო დღესასწაულის შესახვედრად.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲐᲓ, ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲐᲓ

თბილისი. ტყავ-საგალანტერიო ფაბრიკის (დირექტორი ი. ერისთავი) კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები მაღალი მაჩვენებლებით ხვდებიან საქართველოს კომკავშირის სახელოვანი 50 წლისთავის მოახლოებულ იუბილეს. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით სრულდება. ფაბრიკის კოლექტივის საერთო მიღწევებში დიდია კომკავშირელთა წვლილი. მაჩვენებლები კი მაღალია. განვლილ რვა თვეში ფაბრიკის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა 76 ათასი მანეთის პროდუქცია, მოახდინა 80 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია და 41 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ექსპერიმენტული საამქროს (უფროსი ზ. მეკავანაძე) და „მ“ უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც თ. კინიფრიშვილი, ნ. ჯაფარიძე, ც. ღოთვაძე ხელმძღვანელობენ. ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებენ არა მარტო ცალკეული მუშები, არამედ ბრიგადებიც. შრომის შესანიშნავ მაგალითს აჩვენებენ ნოვატორი კომკავშირელი მუშები ა. ომიაძე, ნ. დელბაშიშვილი, ც. ჩიქოვანი, მ. ტაკაშვილი.

მომხმარებელს მივაწოდოთ მეტი და მაღალხარისხოვანი ფართო მოხმარების საგნები — ამ დევიზით შრომობენ კომკავშირელები, რომლებიც ენთუზიაზმით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ნაკისრია გაზრდილი ვალდებულება ა ნ ი. კომკავშირულმა ბრიგადებმა გადაწყვეტეს ერთი კვირით ადრე შეასრულონ ათი თვის დავალება და ღირსეულად შეხვდნენ საქართველოს კომკავშირის იუბილეს.

ბ. ᲑᲘᲝᲠᲒᲝᲒᲘᲐᲜᲘ,
თბილისის ტყავ-საგალანტერიო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

ᲬᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲚᲗᲐ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ

წულუკიძე. (საკ. კორ.). სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გაშლილ შედეგად წულუკიძელმა მეჩაიეებმა 9 სექტემბრისათვის გადაჭარბებით გაანაღდეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოიკრიფა და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 5.040 ტონა ფოთოლი ნაცვლად 5.020 ტონისა.

ნაყოფიერად იმუშავეს სოფელ გორა-ჯიხაიშის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ანდრიაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ჩოგანიძე) წევრებმა. მათ მოკრიფეს 360 ტონა ჩაის ნედლეული და ამით წლიურ გეგმას 51 ტონით გადაჭარბეს. მოკრეფილი ფოთლის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა. სოფელ ოვანდიდის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ჯიმშელეიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ი. ქოთამაძე) მოკრიფა 361 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 283 ტონისა.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ქალაქ წულუკიძის ყდაროვის სახელობის, გუბის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა, მათხოჯის, პატარა ჯიხაიშის, სუხჩის, ქუტირისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ფოთლის კრეფა კვლავ გრძელდება. **წულუკიძელი მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და გადაწყვიტეს ხეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 300 ტონა ჩაის ნედლეული.**

ᲗᲐᲛᲒᲐᲥᲝᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ქედა. (საპ. კორ.). გვალვების მიუხედავად, წელს აჭარის მეთამბაქოეები კარგ მოსავალს რღებენ. ამის თავდებია კოლმეურნეობათა უხვმოსავლიანი ფართობები, მილიონობით ზონარმეტრი ანეშილი და ასანეში ნედლეული.

მიმღებ პუნქტებში უკვე შეუდგენენ ხმელი თამბაქოს ჩაბარებას. ქედისა და ცხმორისის პუნქტებმა მიიღეს ახალი ხმელი თამბაქო.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

8 სექტემბერს კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 23-ე წლისთავს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ა. ნ. შელეპინი, კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი თანამშრომლები, სამინისტროთა და უწყებათა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებათა პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ვ. რვანოვმა. მან აღნიშნა ორი ქვეყნის თანამშრომლობის მრავალმხრივი ხასიათი. საბჭოთა ადამიანები, თქვა მომხსენებელმა, მთლიანად უჭერენ მხარს კორეელი ხალხის მოთხოვნას, რომ ამერიკის ჯარები გაყვანილ იქნან სამხრეთ კორეიდან და კორეელ ხალხს მიენიჭოს უფლება თვითონ განაგებდეს საკუთარ ბედს უცხოეთის ჩაურევლად.

კრების მონაწილეებს სიტყვით მიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში რემ თხე დიუნმა.

საბჭოთა კავშირი, განაცხადა მან, გვეხმარებოდა განმათავისუფლებელი ომის წლებში და ომისშემდგომი აღდგენისა და მშენებლობის პერიოდში. ახლა საბჭოთა ადამიანები მხარს უჭერენ და სიმპათიით ეკიდებიან კორეელ ხალხს, რომელიც სამშობლოს დამოუკიდებელი, მშვიდობიანი გაერთიანებისათვის იბრძვის.

საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და შეკავშირების განმტკიცება — ასეთია ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის უცვლელი პოზიცია, თქვა ელჩმა. დასასრულ მან საბჭოთა ადამიანებს უსურვა ახალი გამარჯვებანი საბჭოთა კავშირის შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲯᲮᲣᲗᲘᲡᲘᲡ (საკ. კორ.). ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲠᲥᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲔᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲛᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲠᲥᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲔᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲠᲥᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲔᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲠᲥᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲔᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐ ᲞᲠᲝᲓᲘᲒᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

9 სექტემბერს კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 23-ე წლისთავს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ა. ნ. შელეპინი, კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი თანამშრომლები, სამინისტროთა და უწყებათა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებათა პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ვ. რვანოვმა. მან აღნიშნა ორი ქვეყნის თანამშრომლობის მრავალმხრივი ხასიათი. საბჭოთა ადამიანები, თქვა მომხსენებელმა, მთლიანად უჭერენ მხარს კორეელი ხალხის მოთხოვნას, რომ ამერიკის ჯარები გაყვანილ იქნან სამხრეთ კორეიდან და კორეელ ხალხს მიენიჭოს უფლება თვითონ განაგებდეს საკუთარ ბედს უცხოეთის ჩაურევლად.

კრების მონაწილეებს სიტყვით მიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში რემ თხე დიუნმა.

საბჭოთა კავშირი, განაცხადა მან, გვეხმარებოდა განმათავისუფლებელი ომის წლებში და ომისშემდგომ აღდგენისა და მშენებლობის პერიოდში. ახლა საბჭოთა ადამიანები მხარს უჭერენ და სიმპათიით ეკიდებიან კორეელ ხალხს, რომელიც სამშობლოს დამოუკიდებელი, მშვიდობიანი გაერთიანებისათვის იბრძვის.

საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და შეკავშირების განმტკიცება — ასეთია ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის უცვლელი პოზიცია, თქვა ელჩმა. დასასრულ მან საბჭოთა ადამიანებს უსურვა ახალი გამარჯვებანი საბჭოთა კავშირის შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

3 სექტემბრიდან **საქართველოში სტუმრად არის** ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია.

დელეგაციის წევრები ესაუბრნენ **საქართველოს სსრ** სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებს. ისინი იყვნენ თბილისის ჩაის სახლში. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ჩაისსაწონ ფაბრიკაში და ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოებში, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკაში, ვარკეთილის მეფრინველობა-მევეფხვეობის საბჭოთა მეურნეობაში, გაეცნენ თბილისის, მცხეთისა და გორის ღირსშესანიშნაობებს.

9 სექტემბერს ვიეტნამის დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით ამხ. შ. ჭანუყვაძე გულთბილად და გულითადად მიესალმა დელეგაციის წევრებს და მათი სახით გმირ ვიეტნამელ ხალხს. იგი ესაუბრა ვიეტნამელ მეგობრებს რესპუბლიკის პარტიულ მშენებლობაზე, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის **ყველა დარგის** განუხრელ განვითარებაზე, მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში მოპოვებულ წარმატებებზე, იმაზე, თუ როგორ იბრძვიან საქართველოს მშრომელები სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის.

დელეგაციის მეთაურმა ამხ. ჩიონგ-მინმა მადლობა გადაიხადა ძმური, მეგობრული, მიღებისათვის, ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შრომაზე საფუძვლიანი ინფორმაციისათვის. თქვენს აყვავებულ რესპუბლიკაში რამდენიმე დღის ყოფნამ, თქვა მან, გვიჩვენა, თუ რაოდენ ღრმა და გულწრფელია საბჭოთა ადამიანების მეგობრობისა და ძმური სოლიდარობის გრძნობა, რომლებიც მხურვალედ უსურვებენ ჩვენს ხალხს ახალ წარმატებებს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამართლიან ბრძოლაში.

შ. ჭანუყვაძის საუბარი ვიეტნამის დელეგაციის წევრებთან მიმდინარეობდა ამხანაგურ, გულითად ვითარებაში.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ფ. დუდაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. ფალავანდიშვილი.

ვიეტნამელი სტუმრები განაგრძობენ საქართველოს გაცნობას. (საკდესი).

ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘ

9 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **გაიხსნა ელექტ**რომაგნიტური ტალღების თეორიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ვაინშტეინმა.

საქართველოს მეცნიერთა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა სახელით სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. ვეკუა.

პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენება რთულ გარემოში რადიოტალღების გავრცელების შესახებ გააკეთა პროფესორმა ლ. ფელსენმა (ამერიკის შეერთებული შტატები).

შემდეგ მოისმინეს ხარკოვის მეცნიერთა ჯგუფის მოხსენება (ხელმძღვანელი პროფესორი ვ. ლ. რვაჩევი). მოხსენება გააკეთა ერთ-ერთმა ავტორმა — ხარკოვის უნივერსიტეტის დოცენტმა ვ. ფ. კრავჩენკომ.

სიმპოზიუმის მუშაობა გრძელდება ოლოკვიუმებში ცალკეულ აქტუალურ პრობლემათა შესახებ.

(საკდესი).

Ს. ᲕᲐᲕᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ Ი. ᲕᲔᲙᲣᲐᲡ

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ი. ვეკუა დაჯილდოვა ს. ვავილოვის მედლით პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის.

ვავილოვის მედალი აკადემიკოს ი. ვეკუას გადაეცა საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციის პლენუმზე. მეცნიერთა სახელით აკადემიკოს ი. ვეკუას გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ახვლედიანი. (საქდესი).

„ᲚᲣᲜᲝᲮᲝᲓ-1“-ᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲖᲝᲠᲐᲕᲔᲚᲘ კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 7 სექტემბერი (საკდესი). „ლუნოხოდ-1“ თვითმავალი ავტარტის სისტემათა მდგომარეობის კონტროლის შემდეგ, რომელიც მეთერთმეტე მთვარის დღის დასაწყისში მოეწყო, წვიმების ზღვაში გაგრძელდა მეცნიერული კვლევა.

კავშირგაბმულობის სეანსებში, რომლებიც გაიმართა 2-დან 6 სექტემბრამდე პერიოდში, მიღებულია მთვარის ზედაპირის სხვადასხვა უბნის პანორამული გამოსახულებანი. რეალიფის დეტალების დაზუსტების მიზნით გადაღება წარმოდგა რამდენიმე წერტილიდან, რომელთა შორის მოძრაობდა მთვარემავალი.

მთვარეზე მეცნიერული ექსპერიმენტი გრძელდება.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-436“

1971 წლის 7 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-436“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲬᲕᲔᲕᲘᲗ

რომი, 9 სექტემბერი. (საკდესი). იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პასუხისმგებელ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ჯავახიშვილი.

სამი კვირის მანძილზე იტალიაში ყოფნის დროს დელეგაცია ეწვევა ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებს, ესაუბრება იტალიის კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებისა და დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს რესპუბლიკის ერთ-ერთი მძლავრი საწარმო — თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა (დირექტორი ი. იმერლიშვილი). საწარმოს კოლექტივმა ყველა მაჩვენებლით შეასრულა მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 მილიონ 430 ათასი მანეთისა რეალიზებულია 6.678 ათასი მანეთის პროდუქცია. თუჯის სხმულის გამოშვების გეგმა შესრულებულია 102,6 პროცენტით, ფოლადის სხმულისა — 108,4 პროცენტით. მარტო შვიდ თვეში მიღებულია 44 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

რვა თვის დავალებანი დიდი გადაჭარბებით შეასრულეს № 3 მძიმე სხმულებისა და № 4 ფოლადსამსხმელო საამქროების კოლექტივებმა, რომლებსაც დ. დემეტრაშვილი და გ. გამზარდია ხელმძღვანელობენ. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან ლ. წიკლაურის მეყალიბეთა, გ. კურტანიძის მეკოპეთა და დ. ჭიღოშვილის მეფოლადეთა ბრიგადები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა. მიმდინარეობს ფოლადის ჩამოსხმა, რომელსაც აწარმოებენ თ. გამჯაშვილი და ო. მამიაშვილი.

ფოტო Შ. ᲛᲝᲠᲒᲣᲜᲝᲕᲘᲡᲐ. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲒᲔᲒᲛᲐᲪ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ, ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘᲡ

ᲐᲠᲪ ისე დიდი ხანია, რაც საგრძნობლად გაუმჯობესება მუშაობა თბილისის № 2 სატრიკოტაჟო ფაბრიკამ. ეს სასიხარულო ფაქტია, რადგან საწარმოს კოლექტივი სწორედ იმ პროდუქციას უშვებს, რომელზეც მოსახლეობა ძალიან მოთხოვნილებაა. სინთეტიკური ნართისაგან დამზადებული უთოობს საწარმოო ბაზის გადახალისებასა და მოდერნიზაციას, ამასთან ბევრი ხიბლი შეაქვს ტექნოლოგიაში.

მომხმარებელს მოსწონს თბილისის № 2 სატრიკოტაჟო ფაბრიკაში დამზადებული ბავშვისა და ქალის კოსტიუმები, კაბები, მამაკაცისა და ქალის ჯემპრები, ბავშვის რეიტუზები, ჯემპრები, ფაბრიკის მოდელიერების მიერ შექმნილი ნაწარმი წარმატებით ესახამს ხორცს ფაბრიკის საამქროებში, მკერავები ცდილობენ ვალში არ დარჩნენ მომხმარებლის წინაშე.

ფაბრიკა თავისებურ გაერთიანებას წარმოადგენს. მას აქვს თავისი ფილიალები საქსოვი და სამკერვალო წარმოებების სახით. საქსოვი წარმოება აქვე თბილისში მდებარეობს, ხოლო სამკერვალო წარმოება დაბა ლენინგორში. ორივე წარმოება მოწინავეა. ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული გამომჭრელ, სამკერვალო, შემფუთავ საამქროებთან და ეს შეჯიბრება ბადებს ხიბლს, აუმჯობესებს მთელი კოლექტივის საწარმოო მაჩვენებლებს.

პირველი პრობლემა, რაც საწარმოს კოლექტივის მთავარი საზრუნავია, ტექნიკური პროგრესია. ამ ძირითად საკითხს შემოქმედებითად მიუდგნენ, უკვე შარშან შეადგინეს წარმოებებისა და საამქროების ახალი ტექნიკით აღჭურვის გეგმა. აშკარად, შეიძლება ითქვას, ეს საკითხი მოგვარებულია. ახალი ტექნიკით შეიარაღდა მზა ქსოვილით მომმარაგებელი ბაზა — საქსოვი წარმოება.

— წელს, — თქვა ჩვენთან საუბარში ფაბრიკის დირექტორმა დ. ბენდელიანმა, — საწარმოს ახალი ტექნიკით აღჭურვის პროცესი კვლავ გრძელდება. საქსოვ წარმოებაში უკვე მუშაობს 37 ახალი მრგვალდაქსოვი, 120 ბრტყელდაქსოვი და რამდენიმე სახვევი მანქანა. მათი დანერგვით ფაბრიკის მუშაობა, შეიძლება ითქვას, თითქმის ახლებური გზით წავიდა, მნიშვნელოვნად შემცირდა ხელით შრომა, გაუმჯობესდა მუშათა შორის პირობები, გადიდდა შრომის ნაყოფიერება და ამ გზით მიღებულმა ეკონომიურმა ეფექტმა 226 ათასი მანეთი შეადგინა.

ჩვენი კოლექტივის მიერ მიღწეული ეკონომიური მაჩვენებლები იმის გარანტიას იძლევა, რომ მომავალში მეტის გაკეთება შეგვიძლია. ამიტომ ვცდილობთ უოველმხრივ გავუკეთოთ ანალიზი გაწეულ მუშაობას და პერსპექტიულ გეგმებში გავითვალისწინოთ ის, რისი შესრულებაც ვერ შევძელითო. მაგალითად, ახლანდ შევაჯამეთ რვა თვის მუშაობის შედეგები. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 111,1 პროცენტით შესრულდა, მაგრამ ვცდილობთ ეს მაჩვენებელი იმითაც განვამტკიცოთ, რომ მომხმარებელმა მიიღოს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია.

ფაბრიკის კოლექტივის მიერ დამზადებული ნაწარმი თავისი ხარისხით დღეს მართლაც იმსახურებს უურადღებას. ამაში ადვილად დავწმუნდით, როცა მოდელებსა და მასობრივ ნაწარმს გავეცანით. ისინი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებიან. ეს ხარისხის მაჩვენებლებიდანაც ჩანს. წელს შარშანდელთან შედარებით 2,4 პროცენტით გაიზარდა ჩვენებული ნორმასთან შედარებით უკვე 3-3 პროცენტით მაღალია.

საქსოვი წარმოების მუშებმა ფაბრიკაში პირველებმა დაიწყეს შეჯიბრება სამუშაო ზონის გაფართოებისათვის. ორ საქსოვ მანქანაზე სამუშაოდ პირველი გადავიდა მქსოველი ა. ხაზაინიოკი. ახლა ინიციატორი და მისი კოლეგები ლ. ლომინაშვილი, ვ. ქუმარიტოვი, ნ. მაზანაშვილი, ც. ბზიავა, ნ. აკოფოვა, ნ. გოგინავა ორ-ორ დაზგასნები არიან და ყოველი ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებენ. ბევრი მქსოველი უკვე „პირადი დამღით" შრომობს, მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

— მქსოველთა მაგალითისამებრ შრომობენ მკერავებიც, — ამბობს ფაბრიკის მთავარი ინჟინერი მ. რიფამაძე, — საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ და ყოველი ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებენ ე. სუხიშვილი, ნ. გურაბანიძე, ვ. ღვედაშვილი, გ. პაიჭაძე, ლ. შარიქაძე, ლ. ბნეტნევა. კარგი მაჩვენებლები აქვთ ლენინგორის წარმოების (უფროსი ხ. გაბოევი) მკერავებს ლ. გუთნიაშვილს, გ. ბაჟაქურს, თ. გიგაურს, ნ. ჯაბანაშვილს და სხვ.

ჩვენი კოლექტივი თავდადებით იბრძვის, რომ ვადამდე შეასრულოს მიმდინარე წლის დავალება, კიდევ უფრო გაზარდოს ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვება და გაუმჯობესოს მისი ხარისხი. ამოცანები დიდია. ამიტომ მათი შესრულებისათვის აქედანვე უნდა ვიზრუნოთ. ხუთწლედში ფაბრიკის სიმძლავრე საგრძნობლად გაიზრდება. უკვე მომავალ წელს ლენინგორში აშენდება ახალი სამკერვალო ფაბრიკა, რომელიც წელიწადში მილიონამდე ერთეულ ნაწარმს გამოუშვებს, საერთოდ კი მომავალში ლენინგორის სამკერვალო წარმოების სიმძლავრე 8 მილიონ ერთეულამდე უნდა გადიდდეს. გათვალისწინებულია აგრეთვე ფაბრიკის ძირითად ტერიტორიაზე საქსოვი წარმოების გადმოტანა, რეკონსტრუქცია გაუკეთდება ფაბრიკის მთავარ კორპუსს. ეზრუნავთ მუშათა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. მომავალ წელს დაიწყება 90-მილიანი საცხოვრებელი სახლის, აგრეთვე ბაგა-ბაღის შენებლობა.

თბილისელმა მეტრიკოტაჟეებმა ახალი ხუთწლედი კარგად დაიწყეს. მათი შრომითი თავდადება სამაგალითოა. ყველა ჩანაფიქრი, რაც კი აქ ხორციელდება, ძიების, შემოქმედების ნაყოფია. მეტრიკოტაჟეებმა სოციალისტური შეჯიბრების მასობრივობით, მიზანსწრაფულობით მიაღწიეს მაღალ მაჩვენებლებს.

ᲛᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲙᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲣᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲪᲕᲔᲜᲔ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ" ᲓᲐ ᲑᲐᲓᲐᲧᲕᲘᲢᲘᲗ! ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲛ ᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲗ, ᲨᲔᲠᲛᲘᲗ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲔᲡ.

რ. ᲯᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲨᲣᲥᲠᲠᲓᲘᲚᲔᲑᲘ

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ, ხობი. ძველათ ქოხმალხები, უგზოობა, სიღარიბე, მალარია სულს უწუთავდა მოსახლეობას. კოღოებისა და ბაკაკების სამეფოდ იყო ქცეული ეს კუთხე.

ჩვენს დროში სულ შეიცვალა კოლხეთი. არხებით დაიქსელა აქაურობა. დღეს ერთ-ერთ ლამაზ ქალაქ ხობს მრავალსართულიანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, ორსართულიანი კოპწია ოდა-სახლები, თურინჯები და ნარინჯები, მოასფალტებული და მოხრეშილი გზები აშენებენ. გაჩნდნენ ახალი სოფლები, დასახლებანი, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები საუკუნეობით დაჭაობებულ, ამჯერად ამოშრობილ მიწებზე.

ახლა ხობში თერთმეტი კოლმეურნეობა და ათი საბჭოთა მეურნეობაა, ერთი მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა და ერთი მსხვილფეხა რქიანი პირტუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო სანაშენო ფერმა, ღორების სასუქი პუნქტი. ეს მეურნეობები ყოველწლიურად ხრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობას და მეცხოველეობის პროდუქტიულობას.

კოლხეთში და, კერძოდ, მის ცენტრში, ხობის რაიონში დიდი რეზერვებია მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამ საქმიოდ წლის წინათ კი ეს დარგი მკვეთრად ჩამორჩებოდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმის შემდეგ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და საერთოდ მისი რენტაბელურ დარგად გადაქცევის საკითხები რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყურადღების ცენტრში დააყენეს.

ახლა უფრო კონკრეტულად განხილავენ მატკვნეულ საკითხებს. ხოლო მათი განხორციელებისათვის გაწლილი ორგანიზატორული მუშაობა კვეთილსასურველ გაგლენას ახდენს ყველა საქმეზე — დიდსა და მცირეზე. ახლა უფრო მეტი ყურადღება ექცევა მეცხოველეთა კადრების მომზადებას, მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ამაში ნათლად დავრწმუნდით, როცა ვესტუმრეთ ქვალონის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობას. აქ 2.100 სულის ნაცვლად ჰყავთ 2.905 სული ღორი, ნაცვლად 320 სულისა — 399 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, შარშან 2.400 გოჭის ნაცვლად მიიღეს და გაზარდეს 3.651 გოჭი, 70 ხბოს ნაცვლად 78 ხბო. ერთი ცენტნერი ხორცის წონამატის თვითღირებულება შემცირებულია 254 მანეთით და 66 კაპიკით, რძის თვითღირებულება კი 4 მანეთით და 20 კაპიკით. ზარალის შემცირებას პირუტყვის საკვების გაიაფებამაც შეუწყო ხელი. თუ წინა წლებში აქ სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 10-12 ცენტნერს არ აღემატებოდა, 1970 წელს 22,3 ცენტნერი მიიღეს. წინა წლებთან შედარებით ორმაგად გაიზარდა საკვები კულტურების წარმოების დონე. წელს მეურნეობამ გაყიდა მის მიერ წარმოებული 100 ტონა თიგა და ჩალა.

ივნისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებამ ქვალონელ მეცხოველეებს ზრდისა და განვითარების მეტი პერსპექტივები დაუსახა. აქ კიდევ უფრო ახლებურად გარდაქმნეს მუშაობა. შედეგებმაც მოკლე დროში იჩინა თავი.

მიმდინარე წლის პირველი აგვისტოსთვის მეურნეობას უნდა ჰყოლოდა 2.200 ღორი, ჰყავს კი 2.905 სული, გეგმით უნდა მიეღოთ 1.500 გოჭი, ფაქტიურად მიიღეს 2.237. ღორის და საქონლის ხორცი აწარმოეს 1.300 ცენტნერი, გეგმა კი 1.175 ცენტნერის წარმოებას ითვალისწინებდა. მეურნეობამ თუ შარშან შვიდ თვეში 23.200 მანეთი ზარალი ნახა (დაგეგმილზე გაცილებით ნაკლები), ამჯერად 14.600 მანეთი მოგება მიიღეს.

კოლხეთში მეცხოველეობის განვითარების დიდი რეზერვებია, ოღონდ საქმის ცოდნით, უნარიანად და მოშეირნედ უნდა გაძღოლა. მთავარია საკვები კულტურების მოყვანა, რასაკვირველია იაფი საკვების მოყვანას მიეცეს მეტი ყურადღება.

მეურნეობას პირტუტყვის საკვები კულტურები 615 ჰექტარზე აქვს დათესილი, მათ შორის ერთწლიანი ბალახი — 535 ჰექტარზე.

ასე ხდება რენტაბელური, მომგებიანი ქვალონის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობის მუშაკების მუშაობის გამოცდილების განზოგადება უთუოდ ყურადღების ღირსია.

წინა წლებთან შედარებით დიდი გარდატეხა იგრძნობა ჭალადიდის მეღორეობის, ახალსოფლის მეცხოველეობისა და სუბტროპიკული, პატარა ფოთის მეღორეობის, ხობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობებში.

ხობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობამ შარშანდელთან შედარებით დიდი ყურადღება მიაქცია საკვების ბაზის განმტკიცებას. ოქტომბერნოემბრისათვის მწვანე საკვებად დათესეს 46 ჰექტარზე სიმინდი სოიას შერევით. 300 ტონის ნაცვლად სიმინდნარე წლის შვიდ თვეში გეგმით გათვალისწინებული სარალის ნაცვლად 14.600 მანეთი მოგება მიიღეს.

კოლხეთში მეცხოველეობის განვითარების დიდი რეზერვებია, ოღონდ საქმის ცოდნით, უნარიანად და მოშეირნედ უნდა გაძღოლა. მთავარია საკვები კულტურების მოყვანა, რასაკვირველია იაფი საკვების მოყვანას მიეცეს მეტი ყურადღება.

მეურნეობას პირტუტყვის საკვები კულტურები 615 ჰექტარზე აქვს დათესილი, მათ შორის ერთწლიანი ბალახი — 535 ჰექტარზე.

ასე ხდება რენტაბელური, მომგებიანი ქვალონის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობის მუშაკების მუშაობის გამოცდილების განზოგადება უთუოდ ყურადღების ღირსია.

წინა წლებთან შედარებით დიდი გარდატეხა იგრძნობა ჭალადიდის მეღორეობის, ახალსოფლის მეცხოველეობისა და სუბტროპიკული, პატარა ფოთის მეღორეობის, ხობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობებში.

ხობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობამ შარშანდელთან შედარებით დიდი ყურადღება მიაქცია საკვების ბაზის განმტკიცებას. ოქტომბერ-ნოემბრისათვის მწვანე საკვებად დათესეს 46 ჰექტარზე სიმინდი სოიას შერევით. 300 ტონის ნაცვლად სიმინდნარს ჩადებენ 400 ტონას. ნათესების კარგი მოვლა-დამუშავებით მწვანე მასის მოსავლიანობის ჰექტარზე 10 ტონის ნაცვლად 15 ტონით გაზრდიან. თესლად ტურნეფსს, რაფსს, ერთწლიან ბალახებს, ცერეალიას და სხვ. საამისოდ კოლხეთის ახალდაშრობილი ფართობები აქვს დამუშავებული და აწყობენ სფერულ კვლებს. ეს კი უზრუნველყოფს პირტუტყვს მთელი წლის განმავლობაში ყუათიანი საკვებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სასოფლო-საფეიქრო საწარმოების მიყიდვისა ვალდებულების შესრულებისათვის სერიოზული ყურადღება ეიმობა ერთწლიანი და შეალედური საკვები კულტურების მოყვანა-მოყვანის საქმეს, ნასვენი მიწების ათვისებას. წელს ერთწლიანი კულტურებისათვის ათვისებულია 306 ჰექტარი. ეწყობა საძოვრების კულტურული გაუმჯობესება 250 ჰექტარზე, აქედან 75 ჰექტარი წელს უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ, სორციელდება სხვა აუცილებელი ღონისძიებანი.

მეცხოველეობის განვითარების დიდი რეზერვებია კოლხეთში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ისეთი საკითხია მოსაგვარებელი, რომლებიც ზემდგომი ორგანოების, კერძოდ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ერთობლივი ღონისძიებებითა და მხარდაჭერით უნდა გადაიჭრას. კონკრეტულად ყურადსაღებია შემდეგი:

კოლხეთი არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წყლით უზრუნველყოფის პროექტი კი არსებობს, საჭირო იქნება ამ სამუშაოების დაწყების დაჩქარება.

ამასთან ბევრ მეცხოველეობის ფერმასთან [illegible] ნაკვთმორიგებით ბოვება, საიდან სამალასო და სათანო ფართობები არ არის შემოღობილი ეკლიანი მავთულით. ეს კი მეცხოველეთა მუშაობის ორთულად და ყოველწლიურად დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ეკლიანი მავთულით უზრუნველყოფის საკითხი უნდა მოგვარდეს.

მეცხოველეები ძნელად შოულობენ ან სულ ვერ შოულობენ შუალედური კულტურების და განსაკუთრებით მრავალწლიანი ბალახების თესლს. მეცხოველეთა ამ პრეტენზიას ანგარიში უნდა გაეწიოს, აქვე უნდა დავძინო, რომ ამ კულტურების თესლით უზრუნველყოფაზე თვით ამაგე მეურნეობებმაც უნდა იზრუნონ.

ნიადაგის დაშრობისა და ათვისების ტემპს ჩამორჩება შიდასამეურნეო გზებისა და ხიდების მოწყობა. ეს კი ავტორსებს მეცხოველეობის ფერმებთან საკვები კულტურების მიწოდას და მწყობრიდან გამოსულ წყალსაწრეტი არხები. შიდა სამეურნეო გზები კოლხეთის მთავარი ბაღოცხლებელი არტერიაა. ამიტომ ნიადაგის დაშრობისა და ათვისებისთანავე გზებიც და ხიდებიც უნდა მოგწყოს.

ეს და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანებია დღეს კოლხეთში, რომლის მიკლე დრონი გადაჭრა ხელს შეუწყობს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კოლხეთი ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების საქმეშოვალეობის [illegible] ადგილად გადაიქცეს მეცხოველეობის განვითარების მსხვილ ბაზად.

Ზ. ᲜᲝᲓᲘᲐ,
„კომუნისტის" საკ. კორ.



ᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲗᲘ დასასრულს უახლოვდება ახალი ქარხნის მშენებლობა. თავისი სიმძლავრით იგი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმო იქნება, ყოველწლიურად 400 კუბმეტრ სხვადასხვა სარკინიგზო კონსტრუქციებს გამოუშვებს. აქ ამ ცოტა ხნის წინათ მწყობრში ჩადგა სიმკარების დამამზადებელი საამქრო. უკვე გამოშვებულია 250 კუბმეტრი პროდუქცია. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: სიმკარების ახალი საამქრო.

ფოტო ბ. ᲒᲘᲠᲡᲐᲛᲘᲐᲜᲘ. (საქდისის ფოტოქრონიკა).

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ

ᲘᲛ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲗᲐ შორის, რომლებსაც ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო მახლობელ კავშირის განმტკიცებისა და ამომრჩეველთა განაწესის შესრულებისათვის ახორციელებს, ფართო პოპულარობით სარგებლობს „დეპუტატის დღე". იგი სულ უფრო ხშირად ეწყობა იმისათვის, რომ დეპუტატები ყოველთვის ინფორმირებული იყონ სადღეისო აქტუალურ საკითხებზე, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე მდგომ ახალ ამოცანებზე, ამასთან თვითეული ამომრჩეველი შეიყვანონ საქალაქო საბჭოს ყველა პრაქტიკული საქმის კურსში.

ფართო წარმომადგენლობითი ხასიათი ჰქონდა „დეპუტატის დღეს", რომელიც ამას წინათ მოეწყო და რომლის მუშაობაში დეპუტატებთან ერთად შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს რაიონული განყოფილებების უფროსები, უბნის ინსპექტორები, სახელმმართველები, აგრეთვე საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი დაქვემდებარებულ ზოგიერთ უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. ამ დღეს საქალაქო საბჭოს დეპუტატებისა და აქტივისტების წინაშე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საზოგადოებრივი წესების დაცვის საქმეში დეპუტატების როლის ამაღლების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი.

დეპუტატების ავტორიტეტსა და აქტივობას, ამომრჩეველთა წინაშე მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას დიდად უწყობს ხელს აგრეთვე საქალაქო საბჭოსთან არსებული „დეპუტატის ოთახი". აქ ამომრჩეველს ყოველდღე შეუძლიათ შეხვდნენ მორიგე დეპუტატს, მიმართონ მას სულ სხვადასხვა საკითხზე და მიიღონ ამომწურავი პასუხი, პრაქტიკული დახმარება.

ახლა დეპუტატები ხშირად მიდიან თავიანთ საარჩევნო ოლქებში, ხვდებიან ამომრჩეველებს, ახლოს ეცნობიან იმას, თუ რით ცხოვრობენ ადამიანები. ამ შეხვედრებზე ცხოვრებით ნაკარნახევ ბევრ საინტერესო საკითხს განიხილავენ.

Შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲢᲘᲝ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡ ეთერ ვლადიმერის ასულს—ავლაბრის სტამბა-მუზეუმის ლექტორს.

ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ პროკოფი მინას-ძეს —მეტალურგთა პროფკავშირის ჟიათურის კულტურის სახლის დირექტორს.

ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲘᲡ სიმონ პეტრეს-ძეს— თბილისის სომხური დრამის თეატრის სადადგმო ნაწილის გამგეს.

ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘ გურამ ვლადიმერის-ძეს— საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგეს.

ᲐᲠᲝᲑᲔᲚᲘᲫᲔ ალექსანდრა გრიგოლის ასულს — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" რედაქტორს.

ᲐᲠᲝᲜᲘᲨᲘᲫᲔ რომეო დიმიტრის-ძეს— წიგნით ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქწიგნის" მმართველს.

ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲝᲕᲘ არამ კარაპეტის-ძეს —მიკოიანის სახელ. ოსტატს.

ᲐᲡᲐᲫᲔ რევაზ ნიკოლოზის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს.

ᲑᲐᲚᲐᲫᲔ ნინო ადამის ასულს —თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ამკრეფს.

ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ავთანდილ დავითის-ძეს— თბილისის № 17 სტამბის უფროს ოსტატს.

ᲑᲐᲢᲐᲫᲔ სოსო გიორგის-ძეს — ცეკავშირის სარეკლამო და მხატვრული გაფორმების სამუშაოთა კომბინატის მთავარ მხატვარს.

ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნინო ივანეს ასულს — კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო განყოფილების რედაქტორს.

ᲑᲔᲜᲓᲔᲚᲘᲫᲔ ნოდარ გრიგოლის ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელევიზიის პროგრამების მთავარი რედაქტორის მოადგილეს.

ᲑᲔᲠᲓᲜᲘᲫᲔ ოთარ ვლადიმერის-ძეს — თბილისის ცენტრალური უნივერმაღის მომღერალთა ანსამბლის ხელმძღვანელს.

ᲑᲘᲒᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ ზოთა სპირიდონის-ძეს — საქმეჯრობისა და სამომმართველო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაიონის გაერთიანებული კომიტეტის სმიდერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
№ 2-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ,
10 ᲡᲕᲘᲢᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, 1971 Წ.

ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲘᲡ თამარ გიორგის ასულს —დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშის კლუბის გამგეს.

ᲑᲣᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ მერიან სოლომონის-ძეს — ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს.

ᲒᲐᲑᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ მიხეილ აპოლონის-ძეს — ბოლნისის რაიონული კულტურის სახლის დირექტორს.

ᲒᲐᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ რუმინ მიხეილის-ძეს — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის უფროსს.

ᲒᲐᲰᲘᲠᲘᲚᲐᲫᲔ თინა ონისიმეს ასულს — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

ᲒᲔᲓᲒᲣᲨᲘᲫᲔ ბიძინა ეფლერიანის-ძეს — თბილისის კინოთეატრ „საქართველოს" დირექტორს.

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲐ ანტისა სამსონის, ასულს — წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის კულტურის სახლის დირექტორს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ რაფიელ მალაქიას-ძეს — ჩოხატაურის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ გურამ ილიას-ძეს — თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის განყოფილების გამგეს.

ᲒᲝᲒᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ მაყვალა ალექსანდრეს ასულს — საბჭოთა-ალბანეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის კულტურის განყოფილების უფროს რეფერენტს.

ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ კოლისტინა დავითის ასულს — საჩხერის რაიონული სახელმწიფო არქივის გამგეს.

ᲒᲝᲒᲣᲐ კონსტანტინე აკაკის-ძეს — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის სოხუმის კულტურის სახლის დირექტორს.

ᲒᲝᲒᲝᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ ალექსანდრე სერგოს-ძეს — მზხარაძის რაიონული კულტურის სახლის დირექტორს.

ᲓᲔᲠᲓᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ოთარ ვლადიმერის-ძეს — თბილისის ცენტრალური უნივერმაღის მომღერალთა ანსამბლის ხელმძღვანელს.

ᲓᲐᲒᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ ზოთა ილარიონის-ძეს — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჯვარის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

ᲓᲐᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘᲫᲔ ალექსანდრე ვალერიანის-ძეს — კავშირგაბმულობის მუშაკთა თბილისის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელს.

ᲓᲐᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘᲫᲔ ოთარ სიმონის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორის მოადგილეს.

ᲔᲠᲛᲝᲚᲐᲔᲕᲘᲩ გიორგი ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სტელევიზიო ფილმების სტუდიის განყოფილების უფროსს.

ᲖᲐᲠᲘᲤᲝᲚᲐᲕᲘᲩ ვახტანგ მიხეილის-ძეს — ბათუმის კინოთეატრ „ინტერნაციონალის" კინომექანიკოსს.

ᲙᲝᲞᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ სერაფიონ მიხეილის-ძეს — ცაგერის სახალხო თეატრის რეჟისორს.

ᲙᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ ვასილ სტეფანეს-ძეს უფროს ინსტრუქტორს კულტურულ-მასობრივი მუშაობის დარგში.

ᲙᲣᲞᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ეიტორ ლუკას-ძეს — კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდური კაბინეტის უფროს მეთოდისტს.

ᲚᲐᲫᲘᲝᲜᲝᲕᲘᲩ ენრი ევგენის-ძეს — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კლუბის დირექტორს.

ᲚᲔᲕᲐᲕᲐᲩ თამარ შერბაკოს ასულს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ გიორგი დავითის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ მეთოდისტს.

ᲚᲣᲜᲯᲔᲕᲘᲩ ნიკოლოზ იაგორის-ძეს — სამხედრო დირიჟორს.

ᲛᲐᲒᲜᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძეს — გეგეჭკორის რაიონის ბაღძის კულტურის სახლის დირექტორს.

ᲛᲐᲗᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ზურაბ მურადის-ძეს — ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კულტურის სახლის დირექტორს.

ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ნინო ვლადიმერის ასულს — საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის უფროს რეფერენტს.

**Მ

მსოფლიო დღეს

ვაშინგტონი

წინანდელი კურსით

9 სექტემბერი. (საკდესი). სახელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა სთხოვა კონგრესს დაამყაროს მთავრობის მოთხოვნა სხვა სახელმწიფოებისათვის ამერიკის დახმარების ასიგნების შესახებ 1972 საფინანსო წელს 3,3 მილიარდი დოლარის ოდენობით.

სენატის ასიგნებათა კომისიის საზღვარგარეთ ოპერაციების ქვეკომისიის წევრთა წინაშე გამოსვლისას სახელმწიფო მდივანმა აღიარა, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი — 2 მილიარდი დოლარი მოხმარდება შეერთებული შტატებისათვის სასურველი რეჟიმების სამხედრო დახმარებას.

როჯერსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარების 60 პროცენტზე მეტი სესხის სახით მიეცემა სამხრეთ კორეას, სოლო „ეკონომიური დახმარების“ 90 პროცენტზე მეტი — საიგონის რეჟიმს, კამბოჯას, ლაოსსა და ტაილანდს.

განცხადებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ სამხრეთ კორეისათვის სამხედრო მიზნებზე 239 მილიონი დოლარის გამოყოფის მოთხოვნა მთავრობის უდიდესი ამგვარი მოთხოვნაა. ვაშინგტონი აპირებს 200 მილიონი დოლარი გამოუყოს კამბოჯას სამხედრო დახმარების სახით და 565 მილიონი — საიგონის რეჟიმისადმი ეკონომიური მხარდაჭერის ფორმით.

ტელევიზიული ექსტრემისტებისათვის სამხედრო დახმარების მიცემა როჯერსმა, ისევე როგორც წინათ, გაამართლა იმით, რომ საჭირო „ახლო აღმოსავლეთში სამხედრო წონასწორობის შენარჩუნება“. ამასთან მან უარი თქვა დაესახელებინა ასიგნებათა ციფრი.

დაკაკა

დაუსწრებლად ასამართლებენ

9 სექტემბერი. (საკდესი). დაკაში ოფიციალურად გამოცხადეს, რომ სამხედრო ტრიბუნალი დაუსწრებლად გასამართლებს პაკისტანის ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) 72 დეპუტატს — აკრძალული პარტიის — სახალხო ლიგის წევრებს.

მთავრობის განცხადებაში აშ ლონისძიებას იმით ამართლებენ, რომ სახალხო ლიგის წევრები არ გამოცხადდნენ სასამართლოში, მიუხედავად გამოძახებისა. მათ ემუქრება სასჯელი — 14 წლამდე პატიმრობა. სახალხო ლიგის თითქმის ყველა წევრი, რომლებსაც სასამართლოში გამოუძახეს, იატაკქვეშ იმალება ან გაქცეულია პაკისტანიდან.

ნიუ-იორკი

ანჯელა დევისის სიცოცხლე საფრთხეშია

9 სექტემბერი. (საკდესი). კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-რაფაელში განახლდა ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის „საქმის“ წინასწარი სასამართლო განხილვა.

გუშინდელ სხდომაზე დაცვამ მოითხოვა მოუხსნან დევისს ყველა ბრალდება, ვინაიდან ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური, რომელმაც ხელისუფალთა მიერ შეთითხნილი „მტკიცებების“ საფუძველზე გამოიტანა თავისი დასკვნა, არაობიექტურად იყო შერჩეული და მიუკერძოებლად ვერ მიუდგებოდა საქმეს.

„ნაფიც მსაჯულთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ მდიდარი თეთრკანიანები, და იქ ადგილი არ აღმოჩნდა ღარიბი ამერიკელებისა თუ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის“, — განუცხადა მოსამართლეს ანჯელას ერთ-ერთმა ადვოკატმა.

ა. დევისის გასამართლება დანიშნულია 27 სექტემბრისათვის. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, დაცვის აზრით, ახლა ის არის, რომ თავიდან აიცილონ ანჯელა დევისის შესაძლებელი რასისტული სასჯელი ჯერ კიდევ სასამართლოს დაწყებამდე.

მას შემდეგ, რაც სან-კუენტინის საპყრობილეში ავადმყოფობა ზანგთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ჯ. ჯექსონი, გიიზარდა საფრთხე, რომ ასეთ სასჯელს უმზადებენ დევისსაც.

ეს განუცხადა ჟურნალისტებს დევისის დამცველმა ადვოკატმა მურმა, რომელიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტი ქალის სიცოცხლე „მუდამ საფრთხეშია“.

კანადა

ა გ რ ე ს ი ი ს შ ე დ ე გ ი

9 სექტემბერი. (საკდესი). ათასობით კამბოჯელი მშვიდობიანი მცხოვრები ძალულებულია დატოვოს მშობლიური ადგილები და თავი შეაფაროს ლტოლვილთა ბანაკებს, რათა თავიდან აიცილონ კამბოჯაში შეჭრილ საიგონელ დამსჯელთა თარეში.

როგორც ვაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი აცხადებს, სოფელ პრასოტის მახლობლად განლაგებულ ერთ-ერთ ასეთ ბანაკში უკანასკნელი კვირების მანძილზე ხუთასზე მეტი კამბოჯელი შეგროვდა, რომლებიც უბადრუკ დროებით სადგომებში ფარეებენ თავს და არა აქვთ არც საკმაო სურსათი, არც მედიკამენტები.

კორესპონდენტი, რომელიც ამ დღეებში ეწვია ამ ბანაკს და ესაუბრა კამბოჯაში შეჭრილ საიგონელ დამსჯელთა სისასტიკეზე ბოროტმქმედების მხილველებს, წერს, რომ სამხრეთვიეტნამელი დამსჯელები ტერორს უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას.

9 სექტემბერი



ახალი მშვიდობიანი ინიციატივა საბჭოთა კავშირისა, რომელმაც წინადადება წამოაყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეის XXIV სესიის დღის წესრიგში დიდმნიშვნელოვან და სასწრაფო საკითხად შეეტანა „განიარაღების მსოფლიო კონფერენციის“ საკითხი, — მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია.

პროგრესული პრესა ხაზს უსვამს, ეს ინიციატივა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის ყოველმხრივ და კონსტრუქციულ პროგრამას, რომელიც ჩამოყალიბდა XXIV ყრილობაზე. გაზეთები აღნიშნავენ, რომ განიარაღების პრობლემას უპირველესი მნიშვნელობა აქვს იმ პრობლემათა შორის, რომლებიც აღელვებს მსოფლიოს ხალხებს და საჭიროებს უსწრაფესად გადაწყვეტას.

პროგრესული პრესა ფართოდ აღნიშნავს ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავს. გაზეთები წერენ, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სახალხო ხელისუფლების წლებში, საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საგაერო ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

ფართოდ აღნიშნავს რა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 23-ე წლისთავს, პროგრესული პრესა აშუქებს სახალხო ხელისუფლების წლებში კორეის ხალხის მიერ მიღწეულ დიდ წარმატებებს.

პოლონეთის პრესა ფართოდ იხილავს და განმარტავს დირექტივებს „პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი სოციალისტური განვითარებისათვის“, რომლებიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის XI პლენუმმა მოიწონა და გაიტანეს საერთო პარტიულ და საყოველთაო სახალხო განხილვისთვის. [illegible] XI ყრილობაზე.

ინდოეთი [illegible] დასასრულთან [illegible] დაკავშირებულ მასალებს.

საფრანგეთის გაზეთები „ეკო“ და „ორორი“ აღნიშნავენ, რომ ეს კრიზისი უფრო მეტ ხანს გასტანს, ვიდრე თავდაპირველად ეგონათ, და იგი განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის დასავლეთ ევროპის ეკონომიკას.

როგორც ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს, ვაშინგტონი, რომელიც ცდილობს ეკონომიური და ფინანსური სიძნელეები დაძლიოს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პარტნიორებისა და მოკავშირეების ხარჯზე, კვლავიც ზემოქმედებას მოახდენს იაპონიაზე, მოითხოვს იენის რევალვაციას და სატვირთო პირობების შემსუბუქებას ამ ქვეყანაში ამერიკის პროდუქციის ექსპორტისათვის.

იაპონიის გაზეთები განმარტავენ, რომ ვაშინგტონში დაიწყო მოლაპარაკება იაპონია-ამერიკის სავაჭრო და ეკონომიურ საქმეთა კომისიის ფარგლებში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ანტიფაშისტური დელეგაცია საქართველოში

„ჩვენი ვიზიტი სსრ კავშირში ხელს შეუწყობს თანამშრომლობის განმტკიცებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ანტიფაშისტებსა და ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტს შორის, თქვენს ქვეყანაში მოგზაურობამ საშუალება მოგვცა გავეცნობოდით საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ ფაშიზმის საგარეო ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

ფართოდ აღნიშნავს რა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 23-ე წლისთავს, პროგრესული პრესა აშუქებს სახალხო ხელისუფლების წლებში კორეის ხალხის მიერ მიღწეულ დიდ წარმატებებს.

პოლონეთის პრესა ფართოდ იხილავს და განმარტავს დირექტივებს „პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი სოციალისტური განვითარებისათვის“, რომლებიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა მოიწონა და გაიტანეს საერთო პარტიულ და საყოველთაო სახალხო განხილვისთვის. [illegible] XI ყრილობაზე.

[illegible] დასასრულთან [illegible] დაკავშირებულ მასალებს.

საფრანგეთის გაზეთები „ეკო“ და „ორორი“ აღნიშნავენ, რომ ეს კრიზისი უფრო მეტ ხანს გასტანს, ვიდრე თავდაპირველად ეგონათ, და იგი განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის დასავლეთ ევროპის ეკონომიკას.

როგორც ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს, ვაშინგტონი, რომელიც ცდილობს ეკონომიური და ფინანსური სიძნელეები დაძლიოს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პარტნიორებისა და მოკავშირეების ხარჯზე, კვლავიც ზემოქმედებას მოახდენს იაპონიაზე, მოითხოვს იენის რევალვაციას და სატვირთო პირობების შემსუბუქებას ამ ქვეყანაში ამერიკის პროდუქციის ექსპორტისათვის.

იაპონიის გაზეთები განმარტავენ, რომ ვაშინგტონში დაიწყო მოლაპარაკება იაპონია-ამერიკის სავაჭრო და ეკონომიურ საქმეთა კომისიის ფარგლებში.

ოლსტერში სისხლი იღვრება

ბრძოლის ველს გავს ოლსტერის ქალაქები ჭურები. ინგლისის ჯარები განაგრძობენ კოლონიური ომს, არ ერიდებიან არაფერს, რათა ჩაახშონ ჩრდილოეთ ირლანდიის მშრომელთა მოძრაობა თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად.

სურათზე: ბელფასტის ერთ-ერთი ქუჩა ამ დღეებში.

ფოტო ჟურნალ „ქვეყიდან“ (გფრ)

ლონდონის მანიფესტები

ლონდონი, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით ოლსტერის მთელ რიგ რაიონებში მოხდა ახალი შეტაკებანი მცხოვრებლებსა და ინგლისელი ჯარისკაცებს შორის. ქალაქ ნიუტონში ხროლის დროს დაჭრეს ინგლისელი ჯარისკაცი. ბელფასტში თვითნაკეთი ბომბების აფეთქების შედეგად სერიოზულად დაზიანდა რამდენიმე მუშა.

ინგლისის ჯარები და ადგილობრივი პოლიცია, იუწყება ლონდონის პრესა, აპირებენ მოაწყონ ახალი ფართო ოპერაცია „უშიშროების განმტკიცებისათვის“, როგორც ფიქრობენ, ამ ოპერაციის თან მოპყვება საყოველთაო ჩხრეკა და მცხოვრებთა ახალი დაპატიმრებანი.

გუშინ ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა მოდლინგმა წამოაყენა წინადადება, რომ მოეწყოს მოლაპარაკება ოლსტერის სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან. იგი კათოლიკურ უმცირესობასა და ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის მონაწილეებს მიაჩნიათ პროპაგანდისტულ ფანდად, რომლის მიზანია შეასუსტონ ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის მოძრაობა.

„მოდლინგის გეგმას, — განაცხადა დღეს ოლსტერის სოციალ-დემოკრატიული ლეიბორისტული პარტიის სახელით სრულიად ირლანდიის პარლამენტის წევრმა ოპოზიციისაგან ოსტინ კარომ, — ვერ მივიღებთ. მშვიდობის გზაზე პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ლონდონის მიერ მისი ახლანდელი იმპოლიტიკის უარყოფა, რომ ძალის დახმარებით ჩაახშოს მეღელვარეობა, და მცხოვრებთა თვითნებური დაპატიმრებების შეწყვეტა“.

„თუ მოდლინგი მოელის, რომ მოლაპარაკება მოქალაქეობრივი ურჩობის კამპანიის შეწყვეტის საგანად იქნება, — ხაზგასმით აღნიშნა ინგლისის პარლამენტის წევრმა, ოლსტერის ოვალსინინო საზოგადო მოღვაწემ ბერნადეტ დევლინმა, — იგი დიდად ცდება. მაგალითად განეკრძობთ კამპანიას, სანამ ხელისუფალნი არ გაათავისუფლებენ საპყრობილეებიდან ყველა პატიმარს, რომლებიც იქ ჩაყარეს „საგანგებო ღონისძიებათა კანონის“ საფუძველზე.

ტერორი ლონდონის რესპუბლიკაში

ვაშინგტონი, 9 სექტემბერი. (საკდესი). დომინგოს რეჟიმი ცდილობს ჩაახშოს მემარცხენე ძალების მოძრაობა და ამისათვის იყენებს ტერორისტულ ორგანიზაციას „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ფრონტი“, ამ ორგანიზაციის შექმნის დროიდან ტერორისტებმა მოკლეს რეაქციონერის 50-ზე მეტი პროგრესული დემოკრატი მოღვაწე, მოიტაცეს ასობით ადამიანი, რომელთა ადგილსამყოფელი უცნობია.

ტერორისტები თავს ესხმიან უნივერსიტეტებს, ფიზიკური მოსპობით ემუქრებიან სტუდენტებსა და მასწავლებლებს და ცდილობენ ჩაახშონ არსებული რეჟიმის გამო უკმაყოფილების ყოველგვარი გამოვლინება.

დაქირავებულ მკვლელებს აგროვებენ პოლიციის აგენტები და უნდიან დიდ გასამრჯელოს, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“.

ტელ-ავივი და პეკინი ეაჭრობენ

ბეირუთი. 9 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „აშ-შაბი“ სტატიაში რომლის სათაურია „პარიზიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ ხონისტები ცდილობენ დაანახლოვონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ისრაელი“, წერს, რომ ივლისში პარიზში გაიმართა ჩინეთის პარიზელი ელჩისა და ისრაელის მთავრობის კოალიციაში შემავალი გაერთიანებული მუშათა პარტიის — მაპამის აღმასკომის წევრის ბენ-გალის შეხვედრა, რომელიც ხანგრძლივობა იყო ჯოუ ენ-ლაისა და გოლდა მეირის მიერ.

მოლაპარაკების დროს, ნათქვამია სტატიაში, მიიღწეს შეთანხმება იმის შესახებ, რომ თანდათანობით განახორციელონ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გეგმა.

შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ ჩინეთის პრესა შეწყვეტს თავდასხმებს ისრაელის მთავრობის მიმართ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სთხოვა გადასცეს გოლდა მეირს ჯოუ ენ-ლაის თხოვნა, რომ გაგზავნოს ისრაელი სპეციალისტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მთელი რიგი სამხედრო ობიექტების მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

ს ტ ი ქ ი ა ა რ ს ხ რ ე ბ ა

დელი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში კვლავ მძვინვარებს სტიქია. ეს-სეი ადადებული მდინარის წყალმა თითქმის სრულიად დატბორა ქვეყნის უდიდესი უტარ პრადეშის შტატი, წყალმა დატბორა ლაკნხაუს შტატის დედაქალაქის მეოთხედი ფართობი. ამ ბოლო დღეებში ქალაქიდან გახიზნეს 25 ათასზე მეტი მცხოვრები. წყალდიდობის შედეგად შტატში დაიღუპა 300 კაცი, დაინგრა თითქმის 217 ათასი სახლი.

სტიქიამ უდიდესი ზიანი მიაყენა დასავლეთ ბენგალის შტატს. წყალდიდობისაგან აქ დაზარალდა 600 ათასამდე კაცი, 110 კაცი დაიღუპა. წყალდიდობისაგან დაზარალებული რაიონის მცხოვრებლებს ეხმარებიან ინდოეთის არმიის ქვეგანაყოფები. სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრინავები მათ აწვდიან კვების პროდუქტებს, ტანსაცმელს, მედიკამენტებს.

რანგუნი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ოფიციალური ცნობების თანახმად, აღმოსავლეთ პაკისტანში წყალდიდობისაგან დაიღუპა 96 კაცი, ნახევარი მილიონი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი 125 მილიონ დოლარს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ადიდებული მდინარეების წყალი კლებულობს, აღმოსავლეთ პაკისტანის ბევრ რაიონში სიტუაცია კვლავ დაძაბულია.

ეგვიპტე

ლ ო ნ დ ო ნ ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ე ბ ი

ლონდონი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისელ ფედერალისტებმა ოლსტერში ოლსტერის ხალხისადმი მიმართეს „ბ“ სპეციალური ძალების არამუშადებისაკენ, რომელებმა „თავი გამოიჩინეს“ წინათ კათოლიკურ გეტოებში დარბევებისა და ძალადობის დროს.

ამ უულტრების ხელშია ახლა 100 ათას ერთეულზე მეტი იარაღი, ინგლისსასროული იარაღი, რომლებშიც გაცემულია ხელისუფალთა ლიცენზიები. არავინ არ იცის, რამდენი იარაღი აქვთ მათ ულიცენზიოდ.

ინგლისელი ჯარისკაცები საყოველთაო ჩხრეკას აწყობენ მხოლოდ კათოლიკეთა უბნებში იარაღის ჩამორთმევის მიზნით.

ამ ახალ ავბედითს საფრთხესთან დაკავშირებით ყოფილ კათოლიკე სამხედრო მოსამსახურეთა ასოციაციამ ბელფასტში გამოაქვეყნა გაფრთხილება, რომ თუ პროტესტანტი ულტრები არ შეწყვეტენ მოიერიშე რაზმების შექმნას, ასოციაცია იძულებული გახდება დაიწყოს თავდაცვის საკუთარი ძალების ფორმირება.

ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ კვლავ მოსთხოვა კონსერვატორთა მთავრობას დაუყოვნებლივ მოიწვიოს არდადეგებზე დათხოვნილი პარლამენტი ოლსტერის მდგომარეობის განსახილველად.

ბ ო ლ ო ვ ი ნ ი ს ა ნ ა ლ ი ზ ი

ბოლოკოგზე კრემლის ყრილობათა სასახლეში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა კონფერენცია საერთაშორისო XXIV და გულსასხლეტძარღვთა დაავადებებისადმი მიძღვნილი X საერთაშორისო კონგრესი. კონგრესს ესწრებოდა 4.000-მდე დელეგატი ხაბჭოთა კავშირიდან, უცხო ქვეყნებიდან. კონგრესი გახსნა სსრ კავშირის ჯანმოთელობის დაცვის მინისტრმა აკადემიკოსმა ბ. პეტროვსკიმ, რომელიც არჩეული იყო კონგრესის პრეზიდენტად.

კონგრესის პლენარულ და სექციურ სხდომებზე მოსმენილ იქნა 800-მდე მოხსენება თანამედროვე ქირურგიის მეტად აქტუალურ საკითხებზე. აქედან 40-ზე მეტი მოხსენება საბჭოთა ქირურგებმა გააკეთეს. მთავარი უურადღება დაეთმო ინფექციის საკითხს ქირურგიაში. ანტიბიოტიკების ფართოდ გამოყენებამ გამოიწვია ანტიბიოტიკებისადმი მდგრად მიკრობთა განვითარება, რამაც საგრძნობლად გაართულა თანამედროვე პირობებში ზოგიერთი სახის ინფექციასთან ბრძოლა. ავადმყოფის ინფექციისაგან დაცვის მიზნით გამართლებულად ითვლება რთული და ძვირადღირებული ე. წ. თანამედროვე „ზესუფთა“ საოპერაციოს, სტერილური პალატებისა და ბოქსების შექმნა კონდიციური სტერილური პაერით, და, რაც მთავარია, ამ მეთოდის გონივრად ფერწყმა ახალი მაღალეფექტური ანტიბიოტიკების, ანტისეპტიკებისა და ქიმიოთერაპიული პრეპარატების გამოყენებასთან.

ამას გარდა ინფექციის განვითარების საკმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენდნენ ორგანიზმის რეაქტიულობის, ორგანიზმის დამცველი ძალების, ჰომეოსტაზური და უჯრედოვანი იმუნიტეტის შესუსტებას. დიდი ინტერესი გამოიწვია გამოკვლევებმა, რომელთა მიხედვით ოპერაციის შემდგომ პერიოდში ინფექციის განვითარების სიხშირე და ინტენსივობა დამოკიდებულია ორგანიზმში ამფოგამაგლობულინის შემცირებასთან, რაც შეიძლება შეძენილიც იყოს და თანდაყოლილიც. ამიტომ მიზანშეწონილია ამფოგამაგლობულინის განსაზღვრა ოპერაციამდე სხვადასხვა წესით, მიღებული შედეგის მიხედვით შესაფერისი მკურნალობის ჩატარება.

უნდა ითქვას, რომ ეს გამოკვლევა ახალია მედიცინაში, საქმიოა აღინიშნოს, რომ იმუნოლოგიურ საკითხებს ინფექციის განვითარების საკმეში კონგრესზე დიდი ადგილი დაეთმო, ეს გასაგებიც არის, რადგან ხშირად ძნელია ინფექციის შედარებითი სიხშირისა და ინტენსივობის ახსნა, თუ არ ვიფიქრებთ ორგანიზმის დაცვითი ძალების შესუსტებასა და დარღვევაზე. ინფექციის ეფექტური პროფილაქტიკის საკმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით ინფექციის წყაროსა და მისი გავრცელების გზების შესწავლას.

სექციურ სხდომებზე განიხილებოდა კლინიკური ქირურგიის ძალის, სანაღვლე გზებისა და კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებანი და სხვ.

კონგრესზე ერთი დღე განკუთვნილი იყო საბჭოთა ქირურგიისათვის. ნარმოდგენილი იყო საბჭოთა ქირურგიის მიღწევები ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე — გულის ქირურგიაზე, სისხლის მილების რეკონსტრუქციულ ოპერაციებზე, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და საყლაპავი მილის ქირურგიაზე, ძვლებისა და სახსრების გადანერგვაზე და სხვ. მოსმენილ იქნა აგრეთვე კონგრესის მონაწილეების მიერ მემორიალური ლექციები სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ ქირურგებზე.

გულისა და სისხლის ძარღვების დაავადებებისადმი მიძღვნილ X საერთაშორისო კონგრესზე განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემად აღიარებულ იქნა პრობლემა — ინფექცია გულისა და სისხლის ძარღვების ქირურგიაში, წამყვანი მნიშვნელობა მიენიჭა ინფექციის პროფილაქტიკას.

განხილული იყო აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიც არის ართერიოვენური კომუნიკაციები, მუცლის აორტისა და მისი მაგისტრალური ტოტების დაზიანა, ოპერაციები გულის თანდაყოლილი მანკების დროს ბავშვებში, გულის სარქველების პროთეზირება და მისი შორეული შედეგები, ვენების ანთება და თრომბოზი, ხელოვნური გული, პერიფერიული სისხლის მილების ქირურგია და სხვ. რამდენიმე სიმპოზიუმი და სექციური სხდომა მიეძღვნა ინტენსიურ თერაპიას. რეანიმაციის (გაცოცხლების) ახალ მეთოდებს, ორგანოთა გადანერგვის საკითხებს, ახალი ტექნიკის გამოყენებას მედიცინაში.

ქ ი რ უ რ გ თ ა მ ს ო ფ ლ ი ო ფ ო რ უ მ ზ ე

მეტად აქტუალური პრობლემები. კერძოდ, საყლაპავი მილის კიბოს რადიკალური მკურნალობა, ხელოვნური საყლაპავი მილის შექმნა, წყლულოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობის მეთოდები და სხვ.

დიდი ინტერესი გამოიწვია ენდოსკოპური მეთოდის გამოყენებამ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით (გასტროფიბროსკოპია, დუოდენოსკოპია, კოლოფიბროსკოპია).

როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მედიცინის მეტად მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ღვიძლის მკვეთრი ფუნქციური უკმარისობის დროს ძეტეროდეოვიძლის (ცხოველის ღვიძლის) გამოყენება. ჩვეულებრივ იყენებენ ღორის ღვიძლს. მოყვანილი იყო ამ მეთოდით მიღებული კარგი შედეგები ღვიძლის მწვავე მკვეთრი უკმარისობის დროს.

კონგრესმა ვრცლად განიხილა ქირურგიის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც — ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ნაღვლის სადინარების, ფილტვების, ფაფარა ჯირკვლის, ფარისებრი ჯირკვლის, ენდოკრინული სისტემის

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში

ცხინვალი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ი. თედიაშვილი

ბუნებრივი გაზი

მალე ცხინვალს ბუნებრივი გაზი ექნება. ამისათვის მილგაყვანილობის სამუშაოები ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში დაიწყო. ახლა შრომის ტემპი სულ უფრო ძლიერდება.

— მთავარია, — გვითხრა სამუშაოთა მწარმოებელმა ჯემალ ცერცვაძემ, — დროულად დავამთავროთ შიდასაქალაქო სამუშაოები. დღეისათვის მილები ჩაწყობილია ისაკის, ჩკალოვის, გმირების ქუჩებზე. მალე დამთავრდება მილების ჩაწყობა სტალინის ქუჩაზე. შემდეგ კი სამუშაოები გაჩაღდება ლენინის, მოსკოვის, ხეთაგუროვის და სხვა ქუჩებზე.

წლის ბოლოსათვის დაგეგმილია დამთავრდეს ძირითადი ტრასის გაყვანა, რომელიც აგარიდან შეუერთდება ცხინვალს.

ვიბრომანქანები — მსოფლიოს 18 ქვეყანაში

ცხინვალური ვიბრაციული მანქანები სულ უფრო ცნობილი ხდება მრავალ ქვეყანაში. საწარმო ახალ-ახალ დაკვეთებს იღებს ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნიდან, აგრეთვე დემოკრატიული რესპუბლიკებიდან, კაპიტალისტური ქვეყნებიდან, დიდი ხანი როდია, რაც ქარხანამ მძლავრი, 8-კილოვატიანი ვიბრაციული მანქანების გამოშვება დაიწყო.

ამ მანქანებზე უკვე მიღებულია შეკვეთები ჩეხოსლოვაკიიდან, იუგოსლავიიდან, რუმინეთიდან, ინდოეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. საზღვარგარეთის 18 ქვეყანამ შეუკვეთა ცხინვალელ მანქანათმშენებლებს საშუალო და დიდი სიმძლავრის ელექტროვიბრაციული მანქანები.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი

თავისი არსებობის მანძილზე ბევრი სპეციალისტი მისცა ოლქის სოფლის მეურნეობას ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა. ისინი თავდადებით შრომობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ძველი შენობა საკმარისი ადარ იყო. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ტექნიკუმისათვის ახალი შენობის აგების საკითხი.

ცხინვალელებს ეს წადილი აუსრულდათ. ახლომა შენობამ პირველ სექტემბერს უკვე მიიღო სტუდენტები.

ტექნიკუმს აქვს სასწავლო კორპუსი, ლაბორატორიები, კლუბი, ბიბლიოთეკა, კაბინეტები, სპორტდარბაზი, საცხოვრებელი კორპუსი და სხვა ნაგებობანი.

სასმელი წყალი ი. გოგებაშვილის სოფლიდან

ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის სოფელი და მისი მიდამოები განთქმულია საუკეთესო წყლებით — ეს კარგად იცის იმან, ვისაც უგემია ვარიანის წყაროები.

ცხინვალელებმა გადაწყვიტეს ვარიანის წყლით შეავსონ დანაკლისი, რასაც ცხინვალი განიცდის სასმელი წყლის მხრივ.

ცხინვალის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო მ. ალბოროვისა.

გუდაუთა. შავი ზღვის სანაპირო. ფოტო ვ. გენგიურისა.

კონგრესი ევროპის ეთნოლოგიის საკითხებზე

პარიზიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგე პროფ. მიხეილ ჩიქოვანი, რომელიც მონაწილეობდა ეთნოგრაფთა და ფოლკლორისტთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების პირველი კონგრესის მუშაობაში. კონგრესი მიზნობრივი ხასიათისა იყო, იგი მიეძღვნა ევროპის ქვეყნების ეთნოლოგიის პრობლემებს. მასში მონაწილეობდნენ ხუთიოდე კონტინენტის წარმომადგენლები და ხუთ დღეს გრძელდებოდა. წაკითხულ იქნა 400-მდე მოხსენება.

ევროპის ეთნოლოგიისადმი მიძღვნილ ფორუმზე აგრეთვე მოეწყო წიგნის გამოფენა. მნახველთა ყურადღება დაიმსახურა ქართულმა ფოლკლორულმა გამოცემებმა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისში დაბეჭდილი ლიტერატურა. „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების სერია“; „ხალხური ხმა ბრძნე“ („ნაკადულის“ გამოცემა); „ქართული ხელნაწერები“ (მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა); „ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები“ (უნივერსიტეტის გამომცემლობა). გამოფენის დაწყებამდე, შემდეგ ქართული წიგნები, სხვა საბჭოთა გამოცემებთან ერთად საჩუქრად გადაეცა საფრანგეთის ხალხური ხელოვნებისა და ტრადიციის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას პარიზში.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი კონგრესზე 26 აგვისტოს გამოვიდა მოხსენებით ეს-პანურ-ქართული (იბერიული) ფოლკლორული ურთიერთობის შესახებ. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ფრანგმა, გერმანელმა, უნგრელმა, ბულგარელმა და სლოვაკმა სწავლულებმა.

გ. წიკლაური.

იგზავნება საზღვარგარეთ

ლენტეხი. (საკ. კორ.). ცანინ სამთო-მეტალურგიული კომბინატი, რომელიც ზღვის დონიდან 2.010 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ქიმიური მრეწველობისათვის დარიშხანის კონცენტრატს ამზადებს. ძვირფასი ნედლეული იგზავნება პოლონეთსა და იაპონიაში. პოლონეთის ქიმიურ მრეწველობას უკვე გაეგზავნა დარიშხანის პირველი დიდი პარტია. წელს ამ მოძმე ქვეყანაში 279 ათასი მანეთის ქიმიური ნედლეული გაიგზავნება.

მეტალურგებმა კარგი სტარტი აიღეს ახალ ხუთწლედში. წლის დასაწყისიდან ისინი წარმატებით ასრულებენ რეგორც პროდუქციის გამოშვების, ისე შრომის ნაყოფიერების ზრდის სახელმწიფო დავალებას.

ახლა აქ აპროექტებენ საამქროს, რომელიც ახალ პროდუქციას — ლითონურ დარიშხანს გამოუშვებს.

კომედიის „იუგილე“

დრამატურგ კიტა ბუაჩიძის კომედია „მკაცრი ქალიშვილები“ პირველად თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა — 1941 წელს. მას შემდეგ 30 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დიდი თუ პატარა თეატრი, რომლის სცენაზე არ ამეტყველებულიყვნენ ამ პიესის გმირები. კომედიის ასეთ პოპულარობას ხელი შეუწყო მასში ორგანულად ჩაქსოვილმა, ხალისით სავსე იუმორმა, ოსტატურად შექმნილმა დრამატურგიულმა სიუჟეტმა.

„მკაცრი ქალიშვილები“ კარგა ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. პიესა „პროვინციელი ქალიშვილის“ სახელწოდებით მოსკოვის დრამატულ თეატრში დადგა ჩვენი დროის გამოჩენილმა რეჟისორმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა იური ზავადსკიმ. ამ თეატრის სცენაზე მაყურებელმა 300-ჯერ ნახა ქართველი დრამატურგის ეს ნაწარმოები.

„მკაცრ ქალიშვილები“ წარმოდგენილი იყო აგრეთვე კრასნოიარსკში, ცელინოგრადში, კრავიო როგში, კინეშმაში და სხვ.

ახლახან ამ პიესის დადგმა განახორციელა ყირიმის მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო თეატრმა, რომელმაც ამ დღეებში თავისი სპექტაკლი უჩვენა კიეველ მაყურებლებს გასტროლების დროს. სპექტაკლმა უკრაინის დედაქალაქის მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

გ. ლიაძე.

სურათზე: სცენა მოსკოვის დრამატული თეატრის სპექტაკლ „პროვინციელი ქალიშვილიდან“.

ხელოვნება

უნგრელები გაეცნობიან

კოგა გურულის ნამუშევრების გამოფენა ბუდაპეშტში

ქართველ ოქრომჭედელთა ნამუშევრებმა მსოფლიოში გაითქვეს სახელი. ააღორძინეს რა ქართული ოქრომჭედლობის უძველესი ტრადიციები, ისინი ქმნიან მოხდენილ კომპოზიციებს, ბარელიეფებს, პანოებს, პორტრეტებს, სამკაულებს. მათი ნამუშევრები ამშვენებს შენობათა ფასადებს, ოფიციალურ დაწესებულებათა ინტერიერებსა და თბილისის მეტროს სადგურებს.

ერთ-ერთი შესანიშნავი ოქრომჭედელია კობა გურული. მალე მის საუკეთესო ნაწარმოებებს გაეცნობიან ბუდაპეშტის ხელოვნების მოყვარულნი. უნგრეთის დედაქალაქში უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებრიობის ინიციატივით, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ხელშეწყობით 18 სექტემბერს იხსნება მისი პერსონალური გამოფენა. ვერნისაჟზე მხატვართან ერთად მიემგზავრება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ქლენტი.

— გამოფენისათვის, — თქვა მან, — გამოყოფილია ბუდაპეშტის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის დარბაზი. გამოფენაზე დემონსტრირებული იქნება კობა გურულის 35 ნამუშევარი. მათ შორის „დედობა“, „უძველესი პოეზია“, „მუზა“, „ლაჟვარდოვანი კოკასიონი“, „თამარ მეფის პორტრეტი“, „ჩიბუხიანი პაპა“. ამ ნაწარმოებებში ჩანს მხატვრის დამახასიათებელი ინდივიდუალური თვისებები, ღრმა ეროვნული ტრადიციები, ჭედურობა გამოირჩევა დეკორატიულობით, მკაფიო გამომსახველობით.

ბუდაპეშტს გარდა კობა გურულის ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა უნგრეთის მთელ რიგ სხვა ქალაქებში. (საქდესი).

ნინო ბოცვაძე

გარდაიცვალა ნინო ბოცვაძე — სახალხო განათლების ვეტერანი, იაკობ გოგებაშვილისა და ლუარსაბ ბოცვაძის უერთგულესი თანამოსაგრე. მისი სახით ჩვენგან წავიდა გამოჩენილი სახალხო პედაგოგი, „დედაენის“ თანაავტორი ნახევარი საუკუნის მანძილზე, საბჭოთა სკოლის, ქართული ენის დიდი მოამაგე, ორგზის ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

ნინო ბოცვაძე დაიბადა თბილისში 1883 წელს. მამამისი იოსებ ბაქრაძე ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო. ნინომ 1904 წელს დაამთავრა ქალთა პირველი გიმნაზია და სწავლის გასაგრძელებლად ერთი წელი ქ. პეტერბურგს დაჰყო. 1906 წელს მიემგზავრება შვეიცარიაში უმაღლესი განათლების მისაღებად. 2 წელიწადს სწავლობდა ქ. ციურიხის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1908 წელს ბრუნდება სამშობლოში და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის მიერ დაარსებულ სკოლაში. სხვადასხვა დროს ნინო მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად თბილისის გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, ასწავლიდა რეგულარულ დაწყებითი, ისე უფროსი კლასების მოწაფეებს.

ნინო ბაქრაძე გამოჩენილი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის უახლოესი მეგობრისა და მისი საქმის განმგრძობლის, სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალ „განათლების“ რედაქტორის ლუარსაბ ბოცვაძის მეუღლე იყო. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ნინო აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალებში „განათლებაში“. „ნაკადულსა“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

ნინო ბოცვაძე დამსახურებულია ნინო ბოცვაძის დამსახურება სახელმძღვანელოების შედგენის საქმეში. ოციანი წლებიდან მოკიდებული, თავის დასთან ეკატერინე ბურჯანაძესთან ერთად, მან შეადგინა ქართული ენისა და სხვა საგნების მრავალი სახელმძღვანელო. ამასთან ერთად ნინო ბოცვაძე აქტიურად და მეთოდიკური ხასიათის წერილებს, თანამშრომლობდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. მისი ავტორობით ცალკე წიგნად არის გამოცემული „მონტესორის საბავშვო ბაღი“, „ნორწ მეგობრებთან ერთად“ და სხვ.

ნინო ბოცვაძის თანაავტორობით 1944 წლიდან ეაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპების მიხედვით შედგენილი „დედა ენის“ I და II ნაწილი — პირველი კლასის სახელმძღვანელო, აგრეთვე „დედა ენა“ — მეორე კლასის სახელმძღვანელო, რომლებიც წლეულს ოცდამეოთხედ გამოიცა. ამ წიგნებმა უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ნორჩების დედა ენის ცოდნით შეიარაღების, მათი გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ახალგაზრდობის გულმხურვალე აღზრდელის, „დედა ენის“ დიდი მოჭირნახულისა და საზოგადო მოღვაწეს ნინო ბოცვაძის დამსახურება სახალხო განათლების განვითარების საქმეში. იგი დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, იაკობ გოგებაშვილის მედლითა და სხვა ჯილდოებით.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან ეს საყვარელი ადამიანი, ჩუმი, თავმდაბალი, თბილი და. სათნო ადამიანი, რომელმაც ჩვენს ნორჩ თაობას გზის მანათობლად დაუტოვა საყვარელი „დედა ენა“, მასწავლებლობას, სწავლა-აღზრდის საქმისათვის თავდადების ეშვიათი მაგალითი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება; საქართველოს მწერალთა კავშირი.

ამრიგად, ქუშნირი-ალექსანდრია...

მსოფლიო ბირველობის პრეტენდენტთა ტურნირის ფინალში ერომანეთს შეხვდებიან საბჭოთა მოჭადრაკეები მოსკოველი ალა კუშნირი და თბილისელი ნანა ალექსანდრია. ანგარიშით 5,5:4,5 კუშნირმა მინსკში გამართულ ნახევარფინალში მოუგო ბაქოელ ტატიანა ზატულოვსკაიას (ორი უკანასკნელი გადადებული პარტიიდან ერთი მოიგო ბაქოელმა, მეორე — მოსკოველმა).

ფინალური შეჯიბრების ადგილი და დრო ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის, მაგრამ იგი უნდა გაიმართოს მიმდინარე წლის ბოლომდე. გამარჯვებული „გვირგვინისათვის“ შეეჯიბრება ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს.

(საკდესი).

ოთხი ტურის შემდეგ

სოხუმში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. 9 სექტემბრამდე გათამაშდა ოთხი ტური. ლიდერობას კვლავ საბჭოთა გროსმაისტერები ინარჩუნებენ. ესენი არიან მსოფლიოს ჩემპიონი ა. ანდრიეკო და ა. განტვარგი, რომლებსაც სამნახევარ-სამნახევარი ქულა აქვთ.

მეოთხე ტურში რიგელმა ა. ანდრეიკომ ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა ბელგიელი პ. დეგე. იქტივში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აგრეთვე მეორე ლიდერმა მინსკელმა ა. განტვარგმა, რომელმაც სძლია მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ვ. ჩჩეგოლევს. ფრანგმა ჟ. რაბატელიმ მოუგო ჩეხოსლოვაკიელ პ. კადერაბეკს, ჰოლანდიელმა გროსმაისტერმა ვ. ვან დერ სლუისმა — იტალიელ გ. ზორნს. ევროპის ჩემპიონის ტ. სეიბრანდსისა და მ. კორხოვის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

„საქართველო-50“

გუშინ თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ გაიხსნა პირველი საჭადრაკო-საშაშო ფესტივალი — „საქართველო-50“. ჩვენი სტუმრები არიან ზოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ტალინის, ვილნიუსის, ალმა-ატის, ტაშკენტის, დუშანბეს, ოდესის მოჭადრაკე ვაჟები და ქალები, სულ 250-მდე კაცი. შეჯიბრება ეწყობა შვეიცარიული სისტემით, სულ გათამაშდება 11 ტური. მოჭადრაკეები პაექრობას 22 სექტემბერს დაამთავრებენ, შემდეგ კი ბრძოლაში ჩაებმებიან მოშაშეები.

ფესტივალი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სანაძემ. მონაწილეებს მიესალმა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალისტი, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია. ჩვენს თანამემამულეს და მის მწვრთნელს საერთაშორისო გროსმაისტერს ბ. გურგენიძეს სტუმრები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. ყირგიზეთის, რიგისა და სვერდლოვსკის წარმომადგენლებმა საჭადრაკო კლუბის დირექტორს ლ. წერეთელს სუვენირები გადასცეს. მონაწილეები გაეცნენ შეჯიბრების რეგლამენტს, შემდეგ კი მოეწყო წილისყრა.

ფესტივალზე სულ გამოდის 35 გუნდი.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

ოსლოში ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი შეხვედრა ჰქონდათ საფრანგეთისა და ნორვეგიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს. გიამარჯვეს ფრანგებმა 3:1. მეორე შესარჩევ გუნდში ორი ლიდერია — ბულგარეთისა და საფრანგეთის გუნდები, რომლებსაც ხუთ-ხუთი ქულა აქვთ.

ევროპის ტურნეს პირველი მატჩი მექსიკის ნაკრებმა წააგო ჰანოვერში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებთან 0:5. ამ მატჩში 3 გოლი მიულერმა გაიტანა.

ბაზელში მსოფლიოს ვეტერანთა ნაკრებისა და შვეიცარიის გუნდის მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3. ვეტერანთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ — სანტოსი, მასობუსტი, მეტიუში, სივორი, გარინჩა, კოპა და სხვები.

მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში პერუს დედაქალაქ ლიმაში გაიმართება. იგი 18 სექტემბერს აიღებს სტატუს და ერთ კვირაზე მეტს გაგრძელდება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მსოფლიოს აღიარებულ ძალოსნებს, პირველ რიგში საბჭოთა შტანგისტებს განუწყვეტლივ მიაქვთ იერიშები მსოფლიო რეკორდებზე, ბუნებრივია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დიდ ფორუმზეც არაერთი რეკორდის მოწმენი ვიქნებით.

სპეციალისტები თვლიან, რომ გუნჯურ ასპარეზობაზე მთავარი მეტოქეები იქნებიან სსრ კავშირის, პოლონეთისა და უნგრეთის შტანგისტთა კოლექტივები. საბჭოთა შტანგისტები (უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მედვედევი) 8 სექტემბერს ლიმაში გაემგზავრნენ. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში 11 სპორტსმენი შედის, ფიცარნაგზე კი გამოვა 9 ძალოსანი. გამოცდილ სპორტსმენებთან ერთად საბჭოთა გუნდში ცოტა როდის დებიუტანტი.

სხვებთან ერთად საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არის

შეხვედრა ფრანგ კალათბურთელებთან

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრები კალათბურთში საფრანგეთის, უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.

ორივე მატჩი წარიმართა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე სასარგებლოდ, ქალებმა შეხვედრა მოიგეს 60:54 (36:22), ვაჟებმა — 72:55 (40:30).

შტანგისტთა ფორუმი ლიმაში

მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში პერუს დედაქალაქ ლიმაში გაიმართა. 8 სექტემბერს ლიმაში ჩამოვიდა ჩვენი ნაკრების ექიმი, ექიმ-ფიზიოთერაპევტი ლ. ბ. ბაბაევი. ჩვენ ექიმ-ფიზიოთერაპევტ ბ. ბაბაევს ვკითხეთ ლიმაში ჩასვლის, ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციის, ასევე ჩვენ ბიჭებზე ამ ადგილებში ყოფნის ზეგავლენის შესახებ.

— ბ. ბაბაევ, ალბათ, ეს ადგილი ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე ... ?

— ... ?

— ... ?

—